№ 208
ოქტომბრის 1, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 208
ოქტომბრის 1, სამშაბათი 1902 წ
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი №-რი გამოვა ხუთშაბათს, 3 ოქტომბერს.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბართოს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის არჩევით, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნაოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას“**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისკის პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108. (120—6.—32)

№ 2. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 3 ოკდომბერს, 1902 წ.
ქართულის დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ორი პიესა

I

ცოლს ვეყრები!

კომ. 3 მოქმ. სარდუდან გადმ. ვ. აბაშიძის მიერ.

II

ადვოკატი მელაძე

ფარსი 2 მოქმ. ფრანგ. გადმ. მაჩაბლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რონელი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია ი. ივანიძე, კ. მესხი, ივ. ლანდი, კ. შათირიშვილი და სხვანი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მანეთიდან 10 მან.-დე, პარტერი 70 კ.-დგან 3 მ.-მდე, ამფითეატრი 80 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, გალერეია 25 კ.-გან 45 კ.-მდე, შეგირდებისათვის ადგილები პარტერში 60 კაპ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

კვირას დილისათვის „ორი ობოლი“ (ფასები დაკლებულია). რეჟისორი **ვალ. გუნია.**

თავად-აზნაურობის თეატრი

ტელეფონი № 617.

დღეს, სამშაბათს 1-ლ ოკდომბერს,
ხარკოვის რუსულ ოპერის არტისტების
მიერ წარმოდგენილი იქნება

ლაკმე

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურათად, მუსიკა
ლეო დელიბისა

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვან-დერბრანტი, არციბაშევისა, პეტროვისა, დობრჟანსკისა, ბაუერი, ბ-ნნი ლენსკი, სუნცოვი, კაზიმირო, პეტროვი და სხვ.

ბალეტს დასდგამს ბალეტმეისტერი **მენაბენი.**

დეკორაციები დახატულია ბ-ნ **ნოვაკის** მიერ.

ტანისამოსი და აქსესუარი საკუთარი სახელოსნოსი.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**
ხორმეისტერი ა. გ. **ზვერჟანსკი,** ადმინისტრატორი მ. **დურანდინი.**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

კასსა გაღებულია დილის 10 საათ. 3-მდის და საღამოს 6-დამ წარმოდგენის გათავებამდე.

ხვალ, ოთხშაბათს, 2 ოქტომბერს, **ა. პ. ბონაჩიჩის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: 1) **პაიაცი,** 2) **აიდა** (მე-3.ე აქტი) ბ-ნ თულაშვილის სადებიუტოდ.

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს—ოპერა „ტრავიატა“ ვიოლეტტას როლს აასრულებს ქ-ნი **ვან-დერ-ბრანდტი.**

გამგებელი სახელოვნობო მოკაზმულობისა **ივ. ფითოევი.**

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

5 ოკდომბერს, 1902 წ., საღამოს
8 საათზე დანიშნულია

საზოგადო კრება

წიგნების გამომცემელ

ქართველთა ამხანაგობისა.

განსახილველად დანიშნულია:
1. წარსული წლების ანგარიშები;
2. ამხანაგობის პირობის ზოგიერთ მუხლების გადასინჯვა.

კრება იქმნება ამხანაგობის სადგომში, ვანქის დიდ ქუჩაზედ. (3—2)

კბილის სამკურნალო კაბინეთი

ი. ზ. კანდელაკისა

იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—2 საათ. საღამოთი 4—7. ავჭალის ქუჩის დასაწყისში სახლი ჯალალოვისა, № 11 გედევანიშვილის სამკურნალოს ახლო. (4—6.—4)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 9—10 ს.

ზრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. ფაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არჯანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისი, 1 ოკდომბერს.

ერთი ჩვენი წინა წერილი*) იმას მოვანდომეთ რომ გვეთქვა, რანაირი ორგანიზაცია არის საჭირო, რათა **საგზაო საქმე** ჩვენშიაც, იდეალურად თუ არა, ისე მაინც მოწესრიგდეს, როგორც ეს იმ გუბერნიებშია, სადაც ერობა არის შემოღებული. დღეს კვლავ დავუბრუნდებით ამ საგანს და ამ ჟამად ვეცდებით, დაწვრილებით თუ არა, საზოგადო მოსაზრებით მაინც წარმოვსთქვათ, რანაირ გზებს საჭიროებს მაგ. უმთავრესი მხარე ჩვენის გუბერნიისა: ქართლი და კახეთი.

კაცმა რომ სთქვას, ყოველნაირი გზა არის ჩვენთვის საჭირო თავისის ხიდ-ბოგირებით, რადგან ამ მხრივ ძალიან ცოტა რამ არის გაკეთებული. მაგრამ რადგან, რაც უნდა იყოს, ცოტათიც არის გვაბადია რამ—აქ მოვილაპარაკებთ მხოლოდ იმაზედ, რის ხსენებაც-კი არ არის ჩვენში.

ყველა გზები, მნიშვნელობის დაგვარად, შესაძლებელია ორ ჯგუფად დავყოთ: პირველი, ეგრედ წოდებული მაგისტრალური, უმთავრესი და მეორე—ამ უმთავრესს გზასთან მისავალი (подъѣздныя). პირველ ჯურის გზების დანიშნულება ის არის, რომ მთელს რაიონს, მაზრას საერთოდ, და არა რომელიმე ერის მხარეს, ემსახუროს; ამ გზას საექსპორტო მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე ადგილობრივი. ამნაირ მნიშვნელობის გზათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში არსებული ამიერ-კავკასიის რკინის გზა, რომელიც ორ ზღვას აერთებს და ამ ზღვებისაკენ და მათ შორის მდებარე ადგილებისაკენ მიაქვს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები.

როგორც საექსპორტო გზას,—მას მნიშვნელობა მხოლოდ ქართლისათვის თუ აქვს, რადგან ქართლის სოფლები ამ გზის ორივ მხრივ არის გაშენებული და მხოლოდ ზოგია დაშორებული ამ გზას არა უმეტესს 40 ვერსისა. ამ მხრივ, ქართლი, ცოტად თუ ბევრად, დაკმაყოფილებულია. მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებს იმას, რომ ქართლის ბედი ისე იყოს მოწყობილი, რომ მის გასაუმჯობესებლად აღარა დაგვრჩენოდეს-რა გასაკეთებელი.

არა, ჯერ გასაკეთებელი და ახლად შემოსაღები ბევრი რამა გვაქვს და ეს ბევრი ისეთი რამ არის, რომ, თუ არ გაკეთდა, რკინის გზის სარგებლობა სრულიად ძალიან მცირე და საეჭვო იქნება.

ყველასაგან ცნობილია, რომ რკინის გზებს მხოლოდ იმ სოფელთათვის აქვთ საექსპორტო მნიშვნელობა, რომელნიც ძალიან შორს არ მდებარეობენ ლიანდაგიდგან და ამასთანავე კარგის სასოფლო გზებით და ხიდებით არიან დაკავშირებულნი მასთან. ამ მხრივ ამიერკავკასიის რკინის გზას შეეძლო აესრულებინა ზემოხსენებული დანიშნულება ქართლის სოფლებისათვის, რადგან მეტი წილი სოფლებისა დაშორებულია არა უმეტეს 10—20 ვერსისა**).

მაგრამ იგი მაინც ვერ ასრულებს ამ დანიშნულებას და, თუმცა აგერ 30 წელიწადია, რაც გაიყვანეს, ქართლს მაინცა და მაინც ვერ მოუტანა ის სარგებლობა, რაც მოსალოდნელი იყო.

ხშირად გაგვიგონია ამნაირი საყვედური: „რა უბედურება არის ჩვენი: აგერ რკინის გზაც გვერდზედ გაგვიყვანეს და ჩვენ-კი ვერ ვსარგებლობთ. ქართველური დაუდევრობა და უცოდინარობა არის და სხვა არაფერი!“ ქართველების დაუდევრობა, რასაკვირველია, არ ახალია, მაგრამ აქ იგი არაფერ შუაშია. ჩვენში გაყვანილ რკინის გზით იმიტომ ვერა ვსარგებლობთ, რომ იგი, მართლა **„გვერდზედ“** გაიყვანეს და არა ზედ იმ სოფლებზედ, სადაც ხალხი მჭიდროდ არის დასახლებული და სადაც მეურნეთა უმრავლესობის წარმოებაა.

ქართლის სოფლები მდებარეობენ, როგორც ვუწყით, რამდენსამე პარალელურ ხეობებში, მტკვრის ორსავე ნაპირას და ეს ხეობები რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ-კი არა მდებარეობენ, არამედ მასთან დაპირდაპირებულნი არიან (პერპენდიკულებრ). ამიტომაც არის რომ რკინის გზას ხვდებიან მხოლოდ ის სოფელნი, რომელნიც გაშენებულნი არიან ხეობათა შესავალში. რიცხვი ამნაირ სოფლებისა ჯერ ერთი რომ მცირეა და მეორეც ისა, რომ მეტი ნაწილი ხალხისა მოსახლობს ხეობათა შესავლის დაშორებით. რკინის გზა გვერდზედ გაიყვანეს მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ იგი ამ ხეობათა, სადაც უმეტესი მოსახლეობა არის, გარეთ უვლის და არ შედის შიგ ხეობებში. როდესაც რკინის გზას აკეთებდნენ, უმთავრესი აზრი სხვა იყო: შეეერთებინათ ჯერ ტფილისი და მერე ორი ზღვა მოკლე გზით და ამ დანიშნულებას იგი ასრულებს კიდეც სავსებით.

სულ მცირედი რამ იყო კიდევ საჭირო, რომ ეს რკინის გზა, თავის დანიშნულების გარდა, ქართლის აღყვავების საქმესაც დაჰხმარებოდა. მაგრამ ეს მცირედი რამ არ იყო შესრულებული და ამიტომაც, უმეტეს ნაწილად, ქართლი ქართლად დარჩა და რკინის გზამ ვერ იქონია შესამჩნევი ზედ-გავლენა.

ეს მცირედი რამ—რკინის გზისაკენ მისავალი სასოფლო შოსეს. გზები გახლავთ თავისი ხიდ-ბოგირებით.

თითო-ოროლა გზის გარდა, შეიძლება ითქვას, რომ ამნაირი გზები არ აბადია ქართლსა და, პირ-იქით, რაც იყო ამ ცოტა ხნის წინად, ისიც ფუჭდება. აი ამ მისავალ გზების უქონლობას უნდა მივაწეროთ, რომ რკინის გზამ „გვერდზედ გაგვიარა“ და ვერ დასდო მალამო ჩვენის მეურნეობის წყლულს.

გააკეთეთ ეს გზები და დაინახავთ, რა სასწაულს მოახდენს ჩვენში გაყვანილი რკინის გზა. მინამ ეს გზები არ იქნება—რკინის გზა ვითომ არც-კი გვქონია: რად გვინდა იგი, თუ ვერაფერს მივიტანთ, ან თუ მივიტანეთ, ისე ძვირად ჯდება, რომ რუსეთიდგან მოსული ნაწარმოებიც-კი იმარჯვებს ჩვენებურს ნაწარმოებზედ სიიაფით...

ამ რიგად ქართლსა აქვს საექსპორტო რკინის გზა, მხოლოდ არა აქვს მისავალი სასოფლო გზები. ეს არის ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი ქართლის მეურნეობის უკან ჩამორჩენისა.

ვნახოთ ახლა, რა ხდება კახეთში. აქკი სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. მკითხველი ზემოდ ნათქვამიდგანაც გაიხ-

---

*) იხ. „ივერია“ № 140, 181, 201.

**) თუმცა არიან უფრო შორს მდებარე სოფლები, მაგ. ლიახვი ხეობაზედ, ამ ალაგებისთვის რკინის გზას ყოველთვის მცირედი მნიშვნელობა ექნება, მანამ რკინის გზის ლიანდაგი არ დაიგება ამნაირ დაშორებულ ადგილებიდგან რომელსამე სადგურამდე.

სენებდა მნიშვნელობას ერთის მხრივ უმთავრეს საექსპორტო გზისას და მეორეს მხრივ მისავალ სასოფლო გზებისას და დაინახავდა, რომ ერთგვარი კავშირი არის საჭირო მათ შორის, რათა ნაყოფი სავსებით გამოიღოს ერთმაცა და მეორემაც.

გადავავლოთ თვალი ამ მხრივ კახეთსა. აქ რასა ვხედავთ? სრულებით წინააღმდეგს სურათს. კახეთში საუცხოვო სასოფლო გზებია დამართული და კი არ არის უმთავრესი, საექსპორტო—რკინის გზა. რადგან აქაც არ არსებობს ნორმალური კავშირი ამ ორ ჯგუფ გზათა შორის,—აქაც ვამჩნევთ დაქვეითების სურათსა. მიეცით კახეთს რკინის გზა და სურათი მეურნეობისა სრულებით შეიცვლება.

ამნაირად ჩვენ საჭიროდა ვსთვლით, როდესაც საგუბერნიო კომიტეტში ჩამოვარდება პრაქტიკული ლაპარაკი გზების შესახებ—ჩვენმა წარმომადგენლებმა იქ ის აზრი უნდა გამოსთქვან, რომ ქართლისა და კახეთის მეურნეობის აღსადგენად ყოვლად საჭიროა: ქართლში დაკეთდეს რკინის გზისკენ მისავალი გზები, მხოლოდ კახეთში—იქ არსებული მისავალი გზები შეუერთონ რკინის გზას, რომლის გაკეთება კახეთისთვის აუცილებელ საქმედ უნდა ჩაითვალოს?

ტფილისი

✦ გუშინ, სეკდემბრის 30-ს, სამსახურს გარეშე მყოფმა პოლკოვნიკმა ალექსანდრე დ. გედევანიშვილმა შვილებითურთ 150 მანეთი შესწირა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას სახსოვრად თავის შვილის, დიმიტრის, რკინის გზის კანტრალიორისა, რომელიც 14 სეკდემბერს იქმნა მოკლული ვაგონში ბოროტ-მომქმედთაგან.

✦ შაბათს, 28 სეკდემბერს, ტფილისის გუბერნატორის ბ-ნ სვეჩინის თავმჯდომარეობით პირველი კრება ჰქონდა საგუბერნიო კომიტეტს, რომელსაც მიენდო უმაღლესად დამტკიცებულის განსაკუთრებულ საბჭოს მიერ შემუშავებულ პროგრამის მიხედვით განიხილოს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებანი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ: ტფილისის გუბერნიისა და მაზრების თავ. აზ. წინამძღოლნი, თ. ი. გ. ჭავჭავაძე, ბ-ნი ბახმეტევი, თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, ი. ი. წინამძღვარიშვილი, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი უგანათლ. თავ. პ. გრუზინსკი, მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა უწყების წარმომადგენელნი და სხვანი, სულ 20 კაცი. კომიტეტის თავმჯდომარემ კრების დაწყებისათანავე ვრცლად გააცნო წევრთ შინაარსი განსახილველ პროგრამისა და აგრეთვე ცირკულიარულის მიწერილობისა, რომლითაც ევალება საგუბერნიო კომიტეტს თავისუფლად და ყოველის მხრივ განიხილოს პროგრამა, შეავსოს ადგილობრივ საჭიროებათა მიხედვით და შემდეგ ვრცელი მოხსენება წარუდგინოს უმაღლესად დამტკიცებულ განსაკუთრებულ საბჭოს იმის შესახებ, თუ რა ღონისძიებანი იხსნიან ტფილისის გუბერნიის სამეურნეო მრეწველობას ეხლანდელ დაქვეითებულ მდგომარეობისაგან. კომიტეტში შემდეგ ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, თუ რა წესით შეუდგნენ პროგრამის განხილვას. კარგა ხანს მოლაპარაკების შემდეგ გარდასწყვიტეს, კომიტეტი გაიყოს 5 ჯგუფად და თითოეულს ჯგუფს, 4 კაცისაგან შემდგარს, მიენდოს პროგრამის ერთის ნაწილის ყოველ მხრივ შემუშავება და შემდეგ კომიტეტს წარედგინოს დასაბუთებული მოხსენება ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ამ დადგენილების თანახმად, ამავე კრებაზე განაწილებულ იქმნა პროგრამაც. როდესაც ყველა ჯგუფი გაათავებს მინდობილ საკითხების შემუშავებას და თავიანთ მოხსენებას წარუდგენს თავმჯდომარეს, ბ-ნი გუბერნატორი მოიწვევს კომიტეტის წევრთა საერთო კრებას.

✦ 29 სეკდემბერს იყო არჩევანი ხმოსნებისა მესამე საარჩევნო რაიონში. არჩევნებს დაესწრო სულ 278 კაცი, რომელთაც ჰქონდათ 285 ხმა. მათ შორის სომხები იყვნენ 116, ქართველები 47 (აქედგან ორი კაცი არც-კი დარჩა კენჭის ყრამდე), რუსები და მალაკნები 93, გერმანელები 23 და თათარი 5. კენჭი იყარა 15 ქართველმა, ხოლო ამორჩეულ იქმნა 6 კაცი: სპ. ვაწაძე, ან. ღულაძე, მიხ. და პეტრე ყიფიანები, სტ. ჰრელაშვილი და ბორ. ესაძე. რუსი ამორჩეულ იქმნა 8, სომეხი 16. ამოსარჩევი დარჩა კიდევ ერთი ხმოსანი და 6 კანდიდატი.

✦ ქალაქის სამ ამომრჩეველ რაიონში ამორჩეულ იქმნა სულ 76 ხმოსანი და სამიც კანდიდატი, ამათში 53 სომეხია, 12 ქართველი, 6 რუსი, სამი მალაკანი, 1 თათარი, 1 გერმანელი.

✦ ამ დღეებში ყარსის ოლქიდგან დაბრუნდა ქალაქის ხორცის დუქნების უფროსი გამგე, რომელსაც შეუძენია 429 სული საკლავი საქონელი.

✦ ხვალ, 2 ოკდომბერს, საღამოს 8 საათზედ დანიშნულია კრება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა და სხვა მოწვეულთა ჩვენის მეურნეობისა და სამეურნეო მრეწველობის საჭიროებათა განსაბჭობად.

✦ დღეს დილის მატარებლით ბათუმისკენ გაემგზავრა კავკასიაში მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული მედვედევი მინისტრის დასახვედრად. მინისტრი ტფილისში ჩამობრძანდება 4 ოკდომბერს.

✦ პირველ და მეორე რაიონის დამატებითი არჩევნები ხმოსნებისა დანიშნულია მომავალ კვირას ქალაქის საბჭოს დარბაზში.

✦ ამ ზაფხულს მკურნალთა კომისიამ დაათვალიერა სურამის მიდამოები, რომელსაც უნდა აღენიშნა, სად უფრო უკეთესი იქნებოდა საერთო საზაფხულო საავადმყოფოს გამართვა. კომისიას ამ ჟამად უკვე შეუმუშავებია სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ამ საავადმყოფოს შენობათა და მალე წარედგინება უმთავრეს სამკურნალო მმართველობას განსახილველად.

✦ ამას წინად კრება ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ქალაქის ქუჩების მოწყობის საქმე. ამ საქმისათვის მიწვეულმა ინჟენერმა წარუდგინა კომისიას თავისი მოსაზრებანი იმის შესახებ, თუ რა თვისების აგურით მოიკირწლოს ქუჩებიო, გააცნო აგრეთვე შინაარსი პარიჟიდან მოწერილ ერთის ქარხნის წერილისა. ეს ქარხანა კითხულობს ქუჩების მოკირწვლას. კომისიამ დაადგინა ინჟ. ალხაზოვს გაუგზავნოს ქარხანას სხვა-და-სხვა თიხა და მოსთხოვოს, შეგვატყობინონ რამდენად გამოდგება ეს თიხა ქუჩებში დასაგებ აგურისათვის. კომისიამ გარდასწყვიტა ეთხოვოს ქალაქის საბჭოს ასი თუმანი წვრილმან ხარჯისათვის.

✦ შაბათს, 28 სეკდემბერს, ქალაქის გამგეობაში დანიშნული იყო კრება იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს თავშესაფართა მოწყობა ქალაქში გადამდებ სენით ავადმყოფთათვის კრებას დაესწრნენ საგუბერნიო ექიმი ქიქოძე და მიხეილის საავადმყოფოს უფროსი ექიმი პავლოვსკი. ხანგრძლივ ისბჭობის შემდეგ, კრებამ გარდასწყიტა დროებით დარჩეს თავშესაფარის შენობანი განსაკუთრებით გადამდებ სენით ავადმყოფთათვის, მხოლოდ გამოძიებულ იქმნას რამდენად აკმაყოფილებს თავშესაფარი ავადმყოფთა მოთხოვნილებას და შეიძლება ჩვეულებრივ ავადმყოფთათვის ადგილის დათმობა თუ არაო. ამ ჟამად-კი თავშესაფარში უნდა მიიღებოდნენ ყვავილითა, ქუნთრუშითა, მუცელათი დ წითელით ავადმყოფნი.

✦ ქალაქის გამგეობას სეკდემბრის განმავლობაში სადეზინფექციო კამერიდგან შემოჰსვლია 151 მან. 17 კაპ.

✦ ქალაქის გადამდებ სენით ავადმყოფთა თავშესაფართა კურთხევა გადაიდო 6 ოქტომბრისათვის.

✦ ქალაქის ხორცის დუქნებს 27 ამ თვეს შემოჰსვლიათ 585 მან. 28 კაპ.

✦ ჩვენი ქუჩები ისე უპატრონოდ არის მიტოვებული, რომ თუნდ კაცი კვდებოდეს, გაჭირვებაში ხელის გამწოდებელი არავინ არის; კვირას, ტურგენევის ქუჩაზედ მიდიოდა ვილაც მუშა, წავარდა უცბად პირიდან სისხლი და შეწუხებული და ღონე-მიხდილი დაეცა ძირს; მშველელი არავინ იყო, თუმცა ბევრი დაეხვია შეწუხებულს მაყურებელი. კარგი იქნება, რომ პოლიციის მოხელეებმა თვალყური ადევნონ ქუჩაში მიმომავალთ და იმოდენა შემწეობა მაინც აღმოუჩინონ, რომ ამისთანა შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაიგზავნოს ხოლმე უეცრივ ავად გამხდარი სამკურნალოში.

—

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება სეკდემბრის 28-ს

კრება დაიწყო საღამოს 8 საათზედ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მოახსენა კრებას, რომ ორი თხოვნა შემოვიდა და შემწეობასა გვთხოვენო: 1) კნ. ოლგა თ. ჭავჭავაძისა—ქალთა საზოგადოების სახელსაქმო სკოლისათვის და 2) კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოებისა—ადგილობრივს ენებზედ სახალხო სამკურნალო წიგნაკების გამოსაცემადაო.

თავ. გ. ი. თარხნიშვილი აცხადებს, ზემოხსენებულ სკოლაში 60-მდე ქალი სწავლობს და 600 მან. მაინც მივცეთ შენობის დასაქირავებლადაო.

გ. რცხილაძის აზრით, ყოველი ამგვარი თხოვნები საგანგებო ბჭობას უნდა გადაეცეს განსახილველად და დასამტკიცებლადაო. ამ აზრს ბევრი არ დაეთანხმა.

დასასრულ კრებამ დაადგინა, დაკმაყოფილებულ იქმნას თხოვნა ახალციხის დედათა სკოლისა, ქალთა საზოგადოების სახელსაქმო სკოლისა დ სამკურნალო საზოგადოების ხოლო რაოდენობის განსაზღვრა მიენდოს საგანგებო ბჭობას თავისუფალ საშუალებათა მიხედვით.

შემდეგ ამისა თავმჯდომარემ განაცხადა—კამათი მოგებათა განაწილების შესახებ მოხსენებისა დასრულდაო და მოკლედ განმარტა იგი. მერმე კენჭი უყარა შემდეგს წინადადებას: დამტკიცებულ იქმნას, თუ არა, საგანგებო ბჭობის მოხსენება ბანკის მოგებათა განაწილების შესახებ. იგი მიღებულ იქმნა დახურულ კენჭის ყრით (26 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 17-სა).

მეორე საკითხი იყო—განხილვა საგანგებო ბჭობის მოხსენებისა უმაღლესად ნაბოძებ თანხის დანიშნულების შესახებ. მოხსენება წაიკითხა თვით თავმჯდომარემ. მოხსენების წაკითხვის შემდეგ თავადმა გ. ი. თარხნიშვილმა განაცხადა, რადგან ეს მეტად საყურადღებო საკითხია, ამისთვის გადავდოთ იგი მომავალ მორიგ კრებამდე, რათა მაზრების თავად-აზნაურთაც მივცეთ საშუალება ასწონ-დასწონონ ამ მოხსენების ავ-კარგიანობაო. მცირე კამათის შემდეგ ამ აზრს კენჭი უყარეს და მიიღეს 22 ხმით წინააღმდეგ 21-სა.

შემდეგ ამისა აღიძრა საკითხი, რა მიმართულება მიეცეს იმ თანხას, რომელიც დამფუძნებელთ ერგებოდათ, მაგრამ აღარ გაიტანეს და თავად-აზნაურთ შესწირესო. რადგან უკვე გვიან იყო, ამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდვა მეორე დღის კრებისათვის (29-სათვის).

კრება 29 სეკდემბრისა.

კრება დაიწყო ნაშუადღევს 1 საათზე.

თავმჯდომარე წინადადებას იძლევა, ჯერ ის საკითხი განვიხილოთ, რომელიც გუშინ დაგვრჩა გამოურკვეველი—დამფუძნებელთაგან შემოწირულ თანხის შესახებაო. ამ საკითხმა კრება ორ ნაწილად გაჰყო. ერთნი ამტკიცებდნენ, ეს ფული მაზრებს დავურიგოთ და თავად უკეთ დაიკმაყოფილებენ თავიანთ საჭიროება-მოთხოვნილებასაო; მეორენი-კი იმ აზრს ადგნენ, მთელი თანხა დაუნაწილებლად გუბერნიის საერთო საჭიროებას მოვახმაროთო. კენჭის ყრის შემდეგ აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ აზრის მომხრე ყოფილიყო 23 წინააღმდეგ 22-სა. შემდეგ ამისა დაასახელეს გუბერნიის საერთო საჭიროებათაგან სამი: 1) სათავად-აზნაურო სკოლის შენობის დამთავრება, 2) დედათა მომავალ სკოლის საჭიროებანი და 3) დაარსება მაზრებში საკრედიტო დაწესებულებათა, რომლითაც მეურნეებს შეეძლოთ სარგებლობა. კენჭის ყრით უპირატესობა პირველ წინადადებას მიეცა (22 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 19-სა).

შემდეგ განიხილეს წინადადება მთავარ კომისარისა, რომელსაც მინდობილი აქვს ისტორიულ და თანამედროვე ტანთ-საცმელის საერთა-შორისო გამოფენა გაჰმართოს პეტერბურგში და სთხოვს ტფილისის თავად-აზნაურობას, მონაწილეობა მიიღეთ ამ გამოფენაშიო. ეს გამოფენა იმართება დიდის მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულის მფარველობით. კრებამ დაადგინა, გაიგზავნოს გამოფენისათვის 3—4 მანეკენი ეროვნულ ტანისამოსით და ამისათვის საჭირო თანხა, 500 მანეთამდე, ხელის მოწერით მოგროვდეს თავად-აზნაურთა შორისო.

თავად-აზნაურთა მამულების მმართველობის თავმჯდომარის არჩევა გადაიდო მორიგ კრებამდე.

შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა თხოვნა დრამატიულ საზოგადოებისა, რომ გაანთავისუფლონ იგი თეატრის საიჯარო გადასახადისაგან—4500 მ., რადგან გასულ სეზონში დიდი ზარალი ნახა და გარდა ამისა შესამჩნევად შეაკეთა და გააუმჯობესა თეატრი, რომელსაც უამისოდ არავინ ქირაობდაო.

თავ. ი. გ. ჭავჭავაძის განცხადებით ეს თხოვნა არ იქმნა განხილული, რადგან იგი არ ყოფილა შეტანილი იმ საკითხთა სიაში, რომელიც ამ კრებას უნდა წარსდგენოდა გადასაწყვეტად. თავმჯდომარის წინადადებით, როდესაც საგანგებო კრება დაიხურა, ხელახლად შესდგა კერძო კრება, რომელმაც დაადგინა, დაკმაყოფილებულ იქმნას დრამატიულ საზოგადოების თხოვნა, რისთვისაც მიეცეს მას 2000 მანეთიო.

შემდეგ თავმჯდომარემ წამოაყენა საკითხი, მიეცეს თუ არა, მომავალში სკოლას ავანსად მიმდინარე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საჭირო თანხა, თუ დავუცადოთ, სანამ კრება გაანაწილებდეს და დაამტკიცებდეს ბანკის მოგებას? კრებამ ერთხმად დაადგინა, მიეცეს სკოლას საჭირო ავანსიო.

დასასრულ კრება შეუდგა ორი კომისიის არჩევას, რომელთაც ნება ექნებათ საგანგებო ბჭობაში მონაწილეობის მიღებისა. პირველმა კომისიამ დაწვრილებით უნდა გამოარკვიოს სკოლის საკითხი, ხოლო მეორემ—ხელმოკლე მოწაფეთა სტიპენდია-დახმარების განაწილების საქმე. პირველ კომისიისათვის აირჩიეს: ი. ს. ჭავჭავაძე, ი. გ. ჭავჭავაძე, ნ. ბ. ერისთავი, ა. დ. აფხაზი, გ. გ. მაღალაშვილი, ს. რ. ვახვახიშვილი, ნ. დ. ანდრონიკაშვილი და ი. ი. წინამძღვარიშვილი; მეორისათვის: გ. გ. მაღალაშვილი, ა. დ. აფხაზი, ვ. მაყაშვილი, ი. გ. ბარათაშვილი, ნ. დ. ანდრონიკაშვილი, ი. ა. ბარათაშვილი, გ. დ. ჟურული და გ. დ. გაბაშვილი.

ჩვენებური ამბები

ჯაგანი (ქუთ. მაზ.) ჩვენი ჯაგანი ძალიან კოხტა სოფელია: სამასამდე კომლი გლეხობა ისეა დასახლებული, გეგონებათ, აქ ბაღებია და არა სოფელიო. სიმინდი, პური, ფეტვი საკმაოდ მოგვივიდა. აგრეთვე ხილიც, რომელიც კარგ ფასებში იყიდება. გლეხებიც ძალიან მუყაითი და მუშა ხალხია. ათი წელიწადია ერთი აყალ-მაყალი გვქონდა სარწყავის წყლის გამო და მადლობა ღმერთს, ეს აყალ-მაყალიც საკეთილოდ დაბოლოვდა და, იმედია, სარწყავი წყალი მალე უხვად გვექნება.

სპ. ხვიჩია.

—

ბათუმი. როგორც იყო, ვეღირსეთ ბათომის მუშათა არტელის წევრთა კრებას. წარსულს აგვისტოს 6-ს, თანახმად წესდების 55, 56 და 57 მუხლისა, თავი მოიყარა 17 წევრმა.

კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ბ-ნ მიხეილ სადრაძე. თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ რაც არტელი არსებობს, სტაროსტა ირჩევა არა კენჭით, არამედ უბრალო ხმითაო; ამისათვისო, სთქვა ბ-ნმა სადრაძემ, სტაროსტის არჩევა, თანახმად წესდების 34 მუხლისა, უნდა იქნეს კენჭითო. დაუდგით ყუთი ძველს სტაროსტას ბ-ნ მგელაძეს, რომელსაც ამუვიდა 12 თეთრი და 6 შავი. ამ რიგად ბ-ნ მგელაძე დარჩა სტაროსტად ერთის წლის ვადით.

შემდეგ სტაროსტის არჩევისა ერთხმად არჩეულ იქნა არტელის საქმეების მმართველად ბ-ნ იაგორ არტემის ძე შახნაზაროვი. ბ-ნ შახნაზაროვის რჩევით დავიქირავეთ არტელისათვის ახალი კანტორა, ჩავაბარეთ უწყებები არტელის იმ წევრთ, რომელნიც არტელში მონაწილეობას არ ღებულობენ. დავურიგეთ როგორც ადგილობრივ ადმინისტრაციას, ისე სავაჭრო სააგენტოებს ცნობები იმის შესახებ, რომ მმართველად არტელის საქმეებისა დანიშნულია შახნაზაროვი.

რაკი წერილები დაურიგდათ ადმინისტრაციას და სავაჭრო სააგენტოებს, ყველამ დიდი თანაგრძნობით შემოხედეს ჩვენს არტელს: გუბერნატორის თანაშემწემ დაიბარა ბ-ნ შახნაზაროვი და შემწეობა აღუთქვა. ტფილისის საკომერციო ბანკის განყოფილების გამგემ ბ-ნ ხუდადოვმა, ა. მანთაშევის ქარხნის გამგემ ბ-ნ ტარუმოვმა დიდი შემწეობა აღგვითქვეს.

ეხლა ჩვენი არტელი ძალიან დახელდახელებულია, რომ ყოველი საქმეები ბათომის პორტში გემების დაცლა დატვირთვისა აიღოს. როგორაც ვიცით, მთელს რუსეთის იმპერიაში ეს ჩვენი არტელი მეოთხე არტელია თავის წესდებით და, როგორც მთავრობის მიერ დამტკიცებული, უპირატესობა ეძლევა საქმეების აღებისა და არც ერთ კერძო მოიჯარადრეს არა აქვს უფლება წინ აღუდგეს ამ არტელს.

ეს თორმეტი წელიწადია სტაროსტას ჯამაგირი ეძლეოდა არტელისაგან, მაგრამ 6-ს აგვისტოს კრებამ დაადგინა, სტაროსტა დღეიდგან უჯამაგიროდ ემსახურებოდეს ჩვენს ამხანაგობას და ამის გამო ჩვენს არტელს 500—600 მანეთი ყოველ წლივ დაეზოგება. ეხლა ჩვენ იმის მოლოდინში ვართ, რომ უმართებულესი სენატი, სადაც ჩვენი საჩივარია 4,600 მანეთისა, როტშილდის ქარხანაში ნამუშევარისა, არ დააგდებს ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ და ჩვენს ნაოფლარს მოგვისაჯავს. თუ ეს იმედი გაგვიმართლდა, მაშინ ბათომის მუშათა არტელი ძალიან წინ წაიწევს.

სპ. ხვიჩია.

—

რიონ-გაღმის კუთხე (ქუთაისის მაზრა). სეკდემბრის ათს აქეთ დრო გამოშვებით წვიმს; მახლობელი მთები ჩამოთოვა და ძლიერ აცივდა. სიმინდის ყანები მზად არის. ხალხი მიჩერებულია, როდის დადგება მზიანი დღეები, რომ იწყონ სიმინდის ტეხვა და ჰინახულის შეკრება. ბამბას წელს გლახა ამინდი აქვს: წვიმა-სიცივის გამო გვიან იშლება და ბევრგან გაუშლელიც დარჩება. რადგანაც ახალ სიმინდებს კარგი მოსავლის პირი უჩანს, ამიტომ ძველი სიმინდის ფასმა დაიწია: ბათმანი ეხლა ორ აბაზად ფასობს. ზემო-იმერეთიდან მაჭრებიც ჩამოვიდა, ფუთი თორმეტ-ცამეტ აბაზად იყიდება ჩალვადრებისაგან. ჩვენებური მიკიტნები-კი მაინც ხუთ-ექვს შაურს ახდევინებენ ბოთლში და უმოწყალოდ ჰყვლეფენ ხალხს. დამწიფდა სიმინდი თუ არა, გაუჩნდნენ მაშინვე კბილის მატლივით შემოდგომის ვაჭრები, ჩადგეს ყანებში ფაცხა-ბუდრუგანები, მოიტანეს ხუთი მანეთის თავსაკრავ-ქინძისთავები, კონფეტ შაქარლამები და ამით აპირებდნენ მთელის წლის სამყოფ სიმინდის შოვნას, მაგრამ წაუხდათ მაზანდა: ბ-მა ქუთაისის მაზრის უფროსმა დაავალა ბოქაულებს, რომ ყველასათვის დაეკეტათ ამ გვარი სიმინდის ბუდრუგანები (ბუდკები) და არ მიეცათ ნება ვაჭრობისა. ბოქაულებმაც ადრიანად გამოუცხადეს განკარგულება მამასახლისებს. ყველას მოეხსენება, ეს ვაჟბატონები როგორ ჩარჩობენ და ატყუილებენ ხალხს, უმეტესად პატარა გოგო-ბიჭებს ჭრელ თავსაფარ-ჩულქებით, ქინძისთავ-შპილკებით და კანფეტ-შაქრით. ბავშვები იპარვენ სიმინდის ტაროებს და ორ კანფეტში ექვს-შვიდ ტაროს აძლევენ. ამის გამო ყოველ წელს გახშირებულია სიმინდის ტაროს პარვა. საჭიროა, ბოქაულებმა კიდევ გაუმეორონ მამასახლისებს თვისი განკარგულება და ჰინახულის შეკრების დროს კარგს ინებებენ თვითონაც ერთხელ ჩამოიარონ, თორემ ბევრი გაიძვერა დღესაც მთავრობის ნამალავად ვაჭრობს სიმინდის ტაროზედ; ბუდრუგანა დაკეტილი აქვთ, მაგრამ მიიტანს თუ არა ვინმე ტაროს, მიიხედ-მოიხედავენ, მთავრობის პირი არავინ მოდიოდესო, უცებ აღებენ ბუდრუგანას, სიმინდს ინახავენ და დაღამებისას სახლში მიაქვთ.

გზები აქეთ ეხლა კარგია და თანდათან უმჯობესდება ჩვენი მაზრის უფროსის ბ-ნ დადეშქელიანის მოწყალებით. მან მარიამობისთვიდგან დაავალა ბოქაულებს, გზები კვლავ შეაკეთებინონ. 13 სეკდემბერს თვითონაც მობრძანდა ჩვენში სოფლების და გზების დასათვალიერებლად, დარჩა აქეთ 18 სეკდემბრამდე, ბევრგან მოიწონა გზები და სადაც კიდევ საჭირო იყო შეკეთება, უბრძანა მამასახლისებს რთველის შემდეგ კიდევ გამოეყვანათ მუშა. ფიცხელი განკარგულება დასტოვა სიმინდის ბუდრუგანების შესახებ. ერთი მათგანი თვითონ ნახა და გამოუცხადა პატრონს მეორე დღესვე გადაეტანა იქიდგან. ბ-მა მაზრის უფროსმა ყველგან დაათვალიერა სკოლები და გაიგო მასწავლებელთა ავ-კარგი. მისმა მობრძანებამ მეტად გაახარა ყველა, განურჩევლად წოდებისა.

ვლადო ბზვანელი.

—

ს. კავთისხევი (გორის მაზრა). ამ სოფელში იქნება ცხრაასი კომლი მცხოვრებელი ქართველი და სომეხი. აქ არის ორი შტატის ეკკლესია ქართველებისა და ჰყავთ ორი მღვდელი; აგრეთვე სომხებსაცა აქვთ ერთი ეკკლესია და ჰყავთ თავიანთი ტერტერა. ამ სოფელში არსებობს აგერ ოც-და-სამი წელიწადი იქნება ერთი სამინისტრო სკოლა და ჰყავთ ერთი მასწავლებელი. სკოლისთვის შეიძინა სოფელმა საკუთარი ადგილი, სადაც თვით სოფელმავე ააშენა სკოლისთვის მშვენიერი სახლები და წინაც აქვს პატარა ბაღი ხილისა და ვაზისა. ს. კავთისხევი ქსილიხის მთის კალთებზეა გაშენებული და განთქმულია მშვენიერის წყლით და ჰაერით; ბევრია აქ ვენახები და ხილის ბაღები. მშვენიერი სანახავია ზაფხულში ეს სოფელი, როდესაც გაიშლება და აყვავდება ბაღები და ვენახები და გააქვთ ქრიამული საგარაკოდ დაბრუნებულ მკვიდრ მცხოვრებლებს და მათს მოყოლილ სტუმრებს. ხშირად გამიგია ამ სტუმრებისაგან: „ერთი სიტყვით მშვენიერი ადგილია საგარაკოდ, რომ მიმოსვლა ადვილად შეიძლებოდესო“ *).

რკინის გზის სიშორის გამო ყოველის მხრიდგან უკან ჩამორჩენილია ეს მშვენიერი სოფელი და არაფრის გამორჩენა არა აქვს საწყალ ხალხს. შარშან ქვათახევის მონასტრის წინამძღვარმა და თვით მთელმა სოფელმა თხოვნა მიართვეს რკინის გზის მმართველობას და ადგილი უჩვენეს სადგურ ქსანსა და კასპს შუა, რომ იქ მატარებელი გაეჩერებინათ და პლატფორმა აეგოთ, რომელიც კავთისხევიდან არის ოთხი-ხუთი ვერსის მანძილზე. ეს თხოვნა შეიწყნარეს კიდეც და აჩერებენ მატარებლებს, მაგრამ, რადგან შეხედეს, რომ ძრავალი ხალხი იწყდება აქ, ამისათვის განუზრახავთ ააშენონ ნამდვილი სადგური სადაც ბილეთებიც გაიყიდება ხალხისთვის. ეს თუ მართლა ასე იქმნა, მაშინ ბევრი ხალხი მოაწყდება საგარაკოდ ამ სოფელს და ცოტა წელში გაიშლება საწყალი ხალხი და ყველა თავის ნაჭირნახულევს გამოიყენებს.

ამ სოფლის მცხოვრებნი ნელ-ნელა გამოდიან მიწურ სახლებიდან და სდგამენ მშვენიერ ორ-სართულიან ქვითკირის სახლებს, კრამიტით გადახურულს. ეტყობათ მოაგარაკეთათვის ამზადებენ.

ახალგაზდა ქალებმა და ვაჟებმა თითქმის ყველამ წერა-კითხვა იცის თავიანთი სკოლის საშუალებით. ეხლა, როგორც ნამდვილათ შევიტყე, თურმე აარსებენ სახალხო სამკითხველოს და კიდეც შესდგომიან ამის თავდა-

---

*) ქსნის სადგურზედ უნდა მიბრძანდეთ, გახვიდეთ მტკვარში ბორნით და ისე აბრძანდეთ კავთისხევში 7—8 ვერსის მანძილზედ.

რიგს ზოგ-ზოგნი მოთავენი. ვუსურვებ, რომ ეს საქმე და აზრი მალე განეხორციელებინოთ კავთისხეველებს და მათს სტუმრებს, რომლებიც ბევრნი იღებენ თურმე მონაწილეობას. და მეც, ვითარცა ერთი იმ სოფლის შვილთაგანი, მუდამ მზად ვიქნები ყოველივე საშუალება და დახმარება აღმოვუჩინო, რითაც-კი შემეძლება.

შუამთის მონასტრის მღვდელ-მონაზონი ტარასი.

უცხოეთი

საფრანგეთი. კიდევ მოსწყდა ერთი სხივოსანი ვარსკვლავი იმ მწერალთა კრებულს, რომელმაც აღმოაშუქა მესამოცე წლებში „დასაპყრობად დიდის ქალაქისა“; მოაკლდა კიდევ ერთი და უკანასკნელი წევრი ფლობერის სახელოვან წრესა! ფლობერი, ტურგენევი, გონკური, მოპასსანი, დოდე და დღეს ზოლაც! გარდაეცა ისტორიას ამ ზეგარდმო მადლით ცხებულთა სახელი. „შენც მოგვშორდი, დოდე, და დავრჩი მარტოკა მეო“— ასე დაასრულა სიტყვა ზოლამ თავისი ძველის მეგობრისა და გულითადის ამხანაგის საუკუნოდ გამოთხოვების დროს. დღეს გაჰყვა თავის სახელოვან მეგობრებს ეს „მარტოკა დარჩენილიც“ დიდხანს ამოძრავებდა ზოლა თანამოქალაქეთა გონებასა და გულს, დიდხანს „იომა პარიჟის დასაპყრობად“, დიდხანს იბრძოდა, რომ თავის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ იდეალებით გაეჟღინთა თანამედროვენი; მხოლოდ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ დღეს ყველანი, მტერიც და მოყვარეც, ერთბაშად ჰგრძნობენ დიდს დასაკლისს. არც ერთს მის სახელოვან ამხანაგს არ მოუპოვებია ისეთი თვალსაჩინო გავლენა ლიტერატურასა და საზოგადოებრივს ცხოვრებაში, არ მოუხდენია ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება თანამედროვეთა გრძნობა-გონებაზე, როგორიც ემილ ზოლამ. ყოველ განათლებულ ფრანგის გული, განსაკუთრებით პარიჟელისა, ძალაუნებურად შეტოკდება ამ სახელის გაგონებაზედ, რადგან ბევრს რასმე მოაგონებს და კიდევ მეტს აგრძნობინებს მას შარავანდედით მოსილი სახელი უკვდავის მწერლისა. განა, დიდმა ხანმა განვლო, რაც იგი გრგვინავდა არა როგორც მარტო რომანისტი, არამედ როგორც გამოჩინებული საზოგადო მოღვაწე, როგორც გატაცებული დ დაუღალავი მეომარი სიმართლისათვის, როგორც შეუბრალებელი მოპირდაპირე ყოველგვარ შევიწროვებისა, უკარებლობისა და უმართებულობისა. სწორედ ეს წმინდა აზრები უნდა დაეგვირგვინებია განსვენებულს თავის უკანასკნელ რომან „სიმართლე“-ში, რომელიც „Avrore“-ში იბეჭდებოდა ამ ჟამად, მაგრამ დაუნდობელმა სიკვდილმა აღარ აცალა მისი დამთავრება.

ზოლა არ იყო იმ გვარი საზოგადო მოღვაწე, როგორებსაც დღესა ვხედავთ. იგი არ ეტანებოდა სახალხო ყრილობებსა, როგორც ანატოლ ფრანსი და არა კითხულობდა საჯარო ლექციებს, როგორც სხვა ლიტერატორები. მას არ უყვარდა თავის გამოჩენა საზოგადოებაში და მთელი სიცოცხლე თითქმის მარტო მახლობელ მეგობართა და ნაცნობთა წრეში გაატარა. იგი იყო ნამდვილი კაბინეტის მუშაკი; შრომა ჩვეულებადა ჰქონდა გადაქცეული და უიმისოთ ერთს დღესაც ვერა სძლებდა, მთელს თავის სიცოცხლეში წესად ჰქონდა დადებული „Nulla dies sine linea“, თავის შრომის მიათხოვნილება-საჭიროებას ანაცვალებდა იგი მთელს დროსა, მთელს თავის სიცოცხლეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რომელ ფრანგ ლიტერატორს, ჟურნალისტს, ან უბრალო განათლებულს კაცს არ ეცოდინება წყნარი, მიყუჩებული ბრიუსელის ქუჩა, რომელზედაც სცხოვრობდა განსვენებული თავის პატარა, მაგრამ დიდის გემოვნებით მორთულს სახლში? მასთან ბევრი დადიოდა, მაგრამ ვინ? ვისაც ილაჯი გაუწყდებოდა და სამუშაოს ვერსად იშოვიდა, უეჭველად ზოლასათვის უნდა მიემართნა, რადგან იცოდნენ მისი კეთილი გული, მასთან მიუხაროდათ უცნობ ავტორებს, ჩემის ახალის თხზულებისათვის წინასიტყვაობა დამიწერეო, ან კიდევ, ამა და ამ საქმის შესახებ თქვენი აზრი გვითხარითო, ანა და ამა და ამ საქველმოქმედო გამოცემაში მონაწილეობა მიიღეთო და სხვა-და-სხვა. ერთი სიტყვით, მისი გული დაუშრეტელი ზღვა იყო და ყველას შეეძლო ხარბად დასწაფებოდა მას.

მაგრამ ასტყდა დრეიფუსის საქმე და ზოლას მყუდრო ცხოვრებაც სულ სხვანაირად შეიცვალა. მისი ბინა საბჭო-სათათბირო დარბაზად გახდა, დრეიფუსის მომხრეთა ყრილობის მოედნად იქცა. ამ ბჭობა-თათბირისა და ყრილობათა სულის ჩამდგმელად გამოდის თვით ზოლა, რომლის თავისუფალი და ძლიერი გონება მალე მიუხვდა ნაციონალისტებსა და მილიტარისტებს მათს გაიძვერაობას, თამამად გაუმხლავდა მათს ვერაგობას და საქვეყნოდ, მოურიდებლად წარმოსთქვა თავისი ისტორიული „J'accuse!“ იგი იბრძვის თავის მახვილის კალამით, ბრძოლის ველად გაუხდია გაზ. „Aurore“-ის ფურცლები და ელვა-ქუხასავით თავზარს ასხავს უკიდურესობითა და სიმძულვარით გატაცებულ ფანატიკოსებს, მაგრამ არც ამ ვაჟბატონებს ეძინათ, იმდენს ეცადნენ, რომ ზოლა საქმეში გახვიეს, სამართალში მისცეს. არც ამას შეუშინდა სახელოვანი მწერალი: პირველად გამოვიდა საჯაროდ, აღიმაღლა ხმა და საქვეყნოდ დაჰგმო სიმართლისა და თავისუფლების წინააღმდეგნი.

ნამდვილ რესპუბლიკელთა გაზეთობა გულითადის მწუხარებით დასტირის დიდებულს მამულიშვილისა და განთქმულის მწერლის სამარეს, მაგრამ როგორ უკაცურად მოიქცნენ ნაციონალისტები, რომელნიც ჯერ კიდევ დაუსაფლავებელ ცხედრის წინაშე არა ჰფარავდნენ თავის სიხარულსა. მაგალითად, როშფორმა უბრალო ზრდილობის უკანასკნელი ნატამალიც-კი დაჰკარგა: რომ როგორმე ჩირქი მოეცხო მიცვალებულისა და მის თანამოაზრეთათვის, ისიც-კი დაჰბეჭდა, ზოლამ თავი მოიკლაო.

ზოლას ცხოვრება მეტად საყურადღებო და საგულისხმოა, მაგრამ ამის დაწვრილებით მოთხრობა მეტად შორს წაგვიყვანდა. ჩვენ გავიხსენოთ მხოლოდ, რა აზრს დაადგა იგი საზოგადო მოღვაწეობის შესახებ. ზევითაცა ვსთქვით, რომ ზოლა მყუდროების მოყვარე, კაბინეტის მუშაკი იყო-თქო: იგი სრულებით არ ერეოდა არც პოლიტიკაში და არც საზოგადო საქმეებში, მაგრამ დრეიფუსის ისტორია ისე ჩაეჭრა გულში რომ თავი ვეღარ შეიმაგრა და სიმართლის აღსადგენად მთელს ქვეყანას საჯაროდ გაუმხლავდა. იგი სასტიკად ამტყუვნებდა თავის თავსაცა და თავის მზგავსთაც, რომ საზოგადო ცხოვრებას ჯეროვანს ყურადღებას არ ვაქცევთ და ასეთს შეუწყნარებელ გულგრილობას ვიჩენთ მისდამიო. „განა შესაძლო იქნებოდა ასეთი აშკარად შემაძრწუნებელი, ასეთი საზიზღარი საქმე, რომ ჩვენ კაბინეტებში არ ჩავკეტილიყავით და მხოლოდ ჩვენ ლიტერატურულს ნაწარმოებს არ ჩავცირკიტებოდეთ, რომ ჩვენ დროზედ გაგვენძრია ხელი, გამოვსულიყავით საზოგადო ასპარეზზე და ცოტა რამ გვეზრუნა ამ უბადრუკ ქუჩის ბრბოს რიგიან განათლებისათვის, რომელიც მხოლოდ თავის შეუგნებლობით გაიძახის: „გაულეტა ურიებს“, „გაუმარჯოს ჯარსაო“! ამ საწყალს მართლა სჯერა, რომ დრეიფუსი მოღალატეა და ჩვენ მექრთამენი! ჩვენ დღეს მარტო დრეიფუსს-კი არ ვიცავთ, არამედ ყველას, ვინც ჩვენის გულგრილობისა და შეუნდობელ დანაშაულის წყალობით ადამიანის გულქვაობითა და უსამართლობითაა დაჩაგრული; ჩვენა ვცდილობთ, რომ მომავალში მაინც აღარ განმეორდეს ამგვარი საზიზღრობა. დრეიფუსის განთავისუფლებისათანავე ჩვენ უნდა შევუდგეთ ხალხის განათლებას, და უპირველეს ყოვლისა კლერიკალთა გავლენისაგან უნდა განვათავისუფლოთ იგი უეჭველადაო“. ისე ღრმად იყო ზოლა ამ აზრით გამსჭვალული, რომ მაშინვე გადასწყვიტა ვრცელს შრომას შესდგომოდა და დაწვრილებით გამოერკვია ეს საკითხი. მისის აზრით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიჰქცეოდა ქალის აღზრდა-განათლებას, რომელმაც უნდა აღზარდოს მომავალი თაობა და ძუძუსთან ერთად უნდა შეაწოვოს მას თავისი შეხედულება და რწმენანიო.

სხვა-და-სხვა წერილები

რეიმსის (საფრანგეთშია) არხიეპისკოპოზის კითხვები. *)

1) ორის წერილის გარდა, რომელიც დაიბეჭდა 1874 წელს „ეტიუდებში“, მამა დარასის დაუტოვებია თუ არა რაიმე ნაწარმოები და შენიშვნები წმ. ნინოსა და საქართველოს მოქცევის შესახებ?

2) ისევ მიაჩნიათ თუ არა ნამდვილ ისტორიულ წყაროდ ვახტანგისაგან შეკრებილი საქართველოს მატიანეები და ბროსესაგან 1849—1858 წლებში დაბეჭდილი პეტერბურგს? ისტორიულ საბუთად ითვლება თუ არა ამ მატიანეს გადმოცემული ცნობები წმ. ნინოს ცხოვრებისა და მის მოციქულებრივ მოღვაწეობის შესახებ?

3) გადმოცემა შესახებ უფლის კვართისა ახსოვს ერს თუ არა? კვართის გამოსახულობა ისევ დარჩენილია საქართველოს გერბში? თუ კვართი დაიკარგა, შეიძლება გავიგოთ, რომელს წელს? რა ცნობებია დაშთენილი შესახებ იმისა, რომ კვართი წარიტაცეს 1625 წელს ან და იმის შესახებ, რომ ეს კვართი რუსეთის ხელმწიფეს მიუძღვნესო, ან იმის შესახებ, რომ იგი ინახებოდა მიძინების ტაძარში (რომელს ქვეყანაში) და, ბოლოს, მისი სამად განაწილების შესახებ, რომელთაგან ორი ნაწილი დაშთაო პეტერბურგს და მესამე—მოსკოვში. ამ ნაშთებს პატივს სცემენ თუ არა ხსენებულს ქალაქებში?

4) რა მოუვიდა წმ. ნინოს ვაზის ჯვარს, რომელსაც უკვე თაყვანს სცემდნენ მე-XIII საუკუნეშივე სამების მონასტერში? სადაა სამება? წმ. ნინოს მაყვლოვანის ნაშთი დღესაც არის მტკვრის პირზე, სამთავისის (სამთავროს?) მონასტერთან? წმ. ნინოს წყარო (ცრემლის წყარო) მცხეთის ახლოს დღესაც არის თუ არა?

5) უქმობენ თუ არა დიდ-გამოჩინებით წმ. ნინოს დღესასწაულს 14 იანვარს და სვეტიცხოვლობას 1-ლს ოქტომბერს? შეიძლება მოიძიოს კაცმა ამ ორის დღესასწაულის დაუჯდომელები და წირვისა და სხვა ლოცვები და, საზოგადოდ-კი წმ. ნინოსი, აგრეთვე წმ. ნინოს ხატები?

6) სად არის ბოდბე, წმ. ნინოს გადაცვალების ადგილი და ისევ იქვეა წმ. გიორგის სახელობაზე აგებული ტაძარი?

7) ყ ღ უსამღვდელოესის მაკარის თხზულება „დასაწყისი რუსეთის ეკკლესიის ისტორიისა“ გადათარგმნილია ფრანგულად თუ არა და სად მოიპოება?

8) საქართველოში ან სადმე სხვაგან არის თუ არა **წმ. ნინოს ცხოვრება** და ანუ **ქართლის-მოქცევა**?

9) რა და რა წყაროებით უმჯობესია იხელმძღვანელოს კაცმა შესახებ წმ. ნინოს ცხოვრებისა, საყდრისა და სხ.?

სამი გმირი.

(ბბ. კიტა აბაშიძე, ზდანოვიჩი და რგანელი) *)

VII

ბევრს უშნოთ თვისებასთან ბ-ნ აბაშიძეს აქვს კიდევ ერთი საუნჯე. უშვერი ლანძღვა-გინების გარდა ეს „ქებული პუბლიცისტი“ სცდილობს მოკამათე დაამარცხოს კიდევ ერთი ხერხით: იგი მშრალად და დიდტონად დაგიწყებს ყვირილს: „შენ არაფერი ცოდნა გაქვს, შენ არაფერი იცი“ და სხვ. ამგვარი უნარი უნებლიედ მაგონებს დაბალი კლასის უნიჭო შეგირდის საქციელს, როცა მას ელევა საპასუხო მასალა და გაცხარებული ბოლოს უყვირის ამხანაგს: შენ არაფერი იცი, შენ არაფერი გესმისო და სხვა! აი ბ-ნ კიტას პაექრობის და ენა-მზეობას ნიმუში: „ქვარიანს ევროპიდგან ვერაფერი გამოუტანია (ნეტა როდის დაგვაშორია ეგზამენი!), ქვარიანისთვის რამე ცოდნა და გამოცდილება მეტი ბარგია“ და სხ. თუ ამგვარი რამის მშრალად თქმა დიდ სიბრძნეს წარმოადგენს, მაშინ ყველა შუცი და ყველა შეგირდი ფილოსოფოსი ყოფილა! მკითხველო, დააჯერეთ „დიდი პუბლიცისტი“, რომ ამისთანა სიტყვების თქმა შეუძლია ყოველს უმეცარს. პირიქით შეგნებული და ღირსეული კაცი არას დროს არ იტყვის მაგისთანა სამარცხვინო რამეს. ამიტომ ჩვენ გვიკვირს ბ-ნ აბაშიძის პირიდგან ამგვარი სიტყვები. აქ უნებურად გვაგონდება აკაკის ლექსი:

„ერთი რამე შემინიშნავს,
მაგრამ ჩუმად გეტყვით ყურში:
ჩვენში თურმე ბევრი არის
კაპკაპი და თუთიყუში“.

მართალია ჩვენი საყვარელი სულმნათი. ჩვენში ბევრია კაჭკაჭი და თუთიყუში, მაგრამ, თურმე, კიდევ მეტია უვიცი, მქირდავი და ცილის-მწამებელი „პუბლიცისტები“, რომელთა ჯგუფში არ გვსურს, ვითომ გავურიოთ ბ-ნ კიტა აბაშიძე, მაგრამ...

ბ-ნი აბაშიძე ისე გაიტაცა თავის „ღვთიურმა აღმაფრენამ“, რომ ქვარიანის მუზას და პოეზიასაც-კი გადასწვდა, ხან უწოდა მას „უბადრუკი მობაარახე პოეტი“, ხან მუზის აშიკი, ხან ბრძანა—ქვარიანს „აღორებს თავის მუზაო“ და სხ. ნეტა რა დაუშავა ქვარიანის მუზამ ბ-ნ აბაშიძეს, ან რა კავშირი აქვს ამ მუზას შავ-ქვასთან, ვერ გაგვიგია! ხოლო ეს-კია, რომ ლემეტრის და ბრიუნეტიერის თაყვანის-მცემელს, მათ შნოიანად მბაძველს, მისტიკ-კრიტიკოსს ასე ადვილად არაფერი მოეწონება. თვით ავტორს არ შეეფერის რამე თქვას თავის ლექსებზედ. ამის განსჯა ეკუთვნის მკითხველ საზოგადოებას. ხოლო, თუ რამდენად ლამაზია ჩვენი მოკამათის ამგვარი საქციელი, ან რამდენად ეხამება ესა და ლანძღვა-თრევა სალიტერატურო ეთიკას, ეს თქვენვე სჯით, მკითხველო. სამწუხაროდ, ჩვენში კიდევ ბევრს ჰგონია, თუ

„ვინცა ენა მჭარტალია,
მისი სიტყვა მართალია“.

ბ-ნი აბაშიძე გვწევა კიდევ ბევრს წვრილმან რამეებს. არაფერი არ დავიწყებია და კიდევ მეტი შეუთხზავს და გადუსხვაფერებია თავისებურად ამ ენა-წყლიან პუბლიცისტს, გადაუმახინჯებია ჩვენი სიტყვები და სხვა-და-სხვა. ყველა წვრილმანებს რომ გამოვუდგეთ აქ, ფრიად შორს წაგვიყვანს. ისედაც გწყენვართ, რომ მეტად დაგღალეთ მკითხველი. ამ წვრილმანებში პირველობა კაი ხანია დავუთმეთ ბ-ნ აბაშიძეს და არც გვსურს შევეცილოთ ოდესმე. ხოლო, რა გქნა, უნდა გსთქვათ, რომ ამ პუბლიცისტის საქციელი უნებლიედ გვაგონებს საფრანგეთის დიდი პოეტის ვიქტორ ჰიუგოს სიტყვას: „Petit homme, petit esprit, petit coeur, petite affaire“ (პატარა კაცი, პატარა ჭკუა, პატარა გული, პატარა საქმე). ბოდიშს ვიხდი კაცხის პუბლიცისტთან, თუ მაინცა-და-მაინც არ იამოს ეს პოეტის სიტყვები.—

ჩვენ გავათავეთ... უჰ, მადლობა ღმერთს, იტყვის დაღალული მკითხველი. თუმცა ანდაზა გვამხნევს: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, მაგრამ ეს იმგვარი საგანი იყო, რომ ამაზედ ეგრე მოკლედ არ ითქმოდა, თუმც ბევრი ვეცადეთ. მაგრამ მომითმინეთ! ვითომ გავათავეთ-კი?! არა, დაგვრჩა კიდევ ორიოდ რამ საპასუხო, მაგრამ ყველაზედ უფრო სამნიშვნელო. ამიტომ, მორჩილად გსთხოვთ მკითხველს, გვაჩუქოს კიდევ მცირეოდენი სმენა.

„სოიუზმა“ ნახა ბერლინში რამდენიმე კაპიტალისტიო, სოიუზის წევრებმა მოიწვიეს შარშან მაისში რამდენიმე კაციო, ზდანოვიჩი შეიქმნა საქმის ნამდვილი სულის ჩამდგმელი, ზდანოვიჩი თაოსანი, გამოცდილი და ენერგიული კაციაო. სიმონ ქვარიანი უცაბედათ გამოერია ამ საქმეშიო, ქვარიანი აკვიატა ზდანოვიჩსო; პა, პა, პა, სად არიან მისი ჯგუფები „ნაჩალო“, „შრომა“ და „მუქრეთიო“ და სხ. ბრძანებს რიხით და დაცინვით ბ-ნი აბაშიძე. ერთის სიტყვით, სოიუზსა და ზდანოვიჩს მიაკუთვნა ყველაფერი, ქვარიანსა და კერძოთ დ. ბაქრაძეს არაფერი. „განვიხილოთ, თუ რამდენად მართალია ეს ბ. აბაშიძის სიტყვები. დავიწყოთ ჯგუფებიდგან. კვლავ იძულებული გავხდით გსთქვათ ცოტა რამ ჩვენზედ. კიდევ მესამე სიეზდის დროს ქვარიანი განაგებდა პატივცემულ მოღვაწის დ. ნ. ბაქრაძის მავი-ქვის საქმეებს. კრების გათავების ერთი-ორი თვის შემდეგ, ქვარიანმა თავის ნებით დაუბრუნა ბ-ნ ბაქრაძეს ვექილობა, უთხრა მასთან ბოდიში, რომ თქვენს საქმეებს ვეღარ გაწარმოებ და უჯამაგიროდ შეუდგა კვიათურაში წვრილ მრეწველთათვის მუშაობას. ბ-ნი ბაქრაძე არ იყო კმაყოფილი, რომ მიატოვეს მისი საქმეები, ჩვენ შევიმუშავეთ ჯგუფის საამხანაგო წესდება და ნოემბერ-დეკემბერში დავაარსეთ 12—13 წვრილ მრეწველთაგან სამი ჯგუფი სრული ამხანაგურის წესით. ამ ჯგუფების სახელი: „დასაწყისი“ („ნაჩალო“) „შრომა“ და „მუქრეთი“. სამივე ჯგუფმა მეთაურად გაიხადეს და ვექილობა მისცეს ს. ქვარიანს. მათი ვექილობანი (გარდა ერთისა, რომელსაც დავუბრუნე), ყველა მათი ნოტარიალური და დასტამბული პირობანი დღესაც ხელში გვაქვს. დასამტკიცებლად ყველა ამ საბუთებისა გარდგვეთ „ივერიის“ რედაქციაში *). ჩვენი მიზანი იყო შეგვეერთებინა პაწია ჯგუფებათ ყველა წვრილი მრეწველი, შეგვექმნა შემდეგ მათგან ერთი დიდი კავშირი, ამავე დროს მოგვეპოვა მათთვის ბანკები, იაფი სესხი და უცხოეთის ბაზარი და ამ რიგად გამოგვეგლიჯა ისინი ხარბ-ექსპორტიორთა მწვავე კლანჭებიდგან. მაგრამ ამ დიდი მიზნის განხორციელება ასე მალე და ასე ადვილად არ შეიძლებოდა. ამიტომ განვიზრახეთ შეგვეფარგლა ჯერ ეს მოქმედება, მოგვეპოვა ჯერ ამ სამი ჯგუფისთვის იაფი სესხი და გაგვეყიდა მათი ქვა. და ასე მოვიქეცით. ფრიად გწყენვართ, რომ გარემოება გვაიძულებს გსთქვათ ყველაფერი. დიახ, ზემოდ თქმული მიზნის მისაღწევად გავმართეთ დეპეშა-წერილებით მიწერ-მოწერა ევროპა-რუსეთის ფირმებთან, პირადად გნახეთ ბათუმ-ტფილისში ცნობილ ბანკების მეთაურები, რომელთაც აღგვითქვეს სესხი. დავაინტერესეთ ამ საქმეში რამდენიმე სერიოზული საკომისიონერო კანტორები და კერძო პირები; დავრბოდით ჩვენის ხარჯით ჭიათურა-ბათუმ-ტფილისში და ბაქოშიაც-კი **) და თუმც იმ დროს დაიწყო მავი ქვის მსოფლიო კრიზისი, მიუხედავად ამისა, იმდენი ვეცადეთ, რომ გავუყიდეთ ამ სამ ჯგუფს 12 მილიონი ფუთი ქვა სამი წლის ვადით, ფუთი ფოთში გემში ჩაბარებით $23^{1}/_{2}$ კაპეიკად. ქვა იყიდა ინგლისის ერთმა დიდმა ფირმამ. მოლაპარაკება და საწინასწარო პირობის განსაზღვრა მოხდა შარშან თებერვალში კომერციულ მოსაზრებით ბაქოში, დასამტკიცებლათ ყველა საბუთებს გარდგვეთ ივერიის რედაქციაში *) და მორჩილად ვთხოვ, რომ იყოს საიდუმლოდ დაცული ფირმების ვინაობა. მაგრამ ჭორი მართალიაო, რომ იტყვიან, ჩვენც ასე დაგვემართა- იმ დროს, როცა პირობა უნდა შეგვეკრა საბოლოოდ, ინგლისში მოხდა საშინელი ამბავი: გამწვავდა ბურთა ომი და მასთან შეიქნა რკინა-ფოლადის ქარხნების მუშათა აჯანყება. დაიკეტა 6 თუ 8 თვით ყველა ფოლადის ქარხნები (ეს ყველამ ვიცით გაზეთებით). ვიღას უნდოდა ახლა მარგანეცი. დაეცა საშინლად მავი-ქვის ფასები. ამ დროს „სოიუზი“ და მათ შორის მისი წევრი ბ. დ. ბაქრაძე იყვნენ ბერლინში და ყიდდნენ თავიანთ ქვას ცნობილ ფირმაზედ არონ ჰირშზედ, რომელიც გაიცნეს სტუდენტ ბარსაბა პაპავას და კომისიონერ პავლე როზენბერგის საშუალებით.

სწორედ ამ დროს ჩვენდა მოულოდნელად მოგვდის ბერლინიდან ბ. დავით ბაქრაძის დეპეშა და შემდეგ წერილი.

როგორც კიდევ შარშან ვსწერდი „ივერიაში“ (იხ. № 186) და ახლა, როგორც მოწმობენ ეს დეპეშა და წერილი, ეს დიდი საქმე დაუწყვია კიდევ ბერლინში ბ-ნ ზდანოვიჩსა და სოიუზს-კი არა, არამედ კერძოდ დავით ბაქრაძეს. ამ მოღვაწის მიზანი ყოფილა წვრილ მრეწველების შეერთება და მათთან საქმის დაკავება, ამ მრეწველთა შეყვანა ბერლინის სინდიკატთან და მით მათი ხსნა ექსპორტიორთა კლანჭებიდგან. ამ მიზნით შეეკრა ბ-ნი ბაქრაძე და მხოლოდ ბაქრაძე საწინაო პირობით არონ ჰირშსა და როზენბერგს და სხ., მაგრამ ამ დიდი მიზნის განხორციელება ადვილი არ იყო. ამას ეჭირვებოდა შრომა და ბევრი შრომა. ამას უნდოდა სანდო კაცები. ამგვარ პირად-კი დასახა ბ-ნმა ბაქრაძემ ამ სტრიქონების დამწერი. მან მისწერა დეპეშა-წერილი და მიენდო ერთიანად სიმონ ქვარიანს, რომელმაც მიუტოვა წინეთ საქმეები, რომელზედაც თითონ ბაქრაძე იყო მონდურავი ამის გამო, მაგრამ, რომელიც, ბაქრაძის ფიქრით გააკეთებდა ამ საქმეს, რადგან ჰქონდა მოპოვებული მრეწველთა შორის ნდობა და სიყვარული. იძულებული ვართ ვსთქვათ ყოველივე სიმართლე. სინდისი და კაცობრივი ეთიკა არ გვაძლევენ ნებას გავაცნოთ ქვეყანას კერძო პირის დეპეშა-წერილის სრული შინაარსი და საიდუმლოებანი.

ამ საბუთებს ვარდგენ „ივერიის“ რედაქციაში *).

ს. ქვარიანი.

(დასასრული იქნება)

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა

პირველი წარმოდგენა ავქ. ცაგარლის პატივსაცემლად იყო გამართული. საზოგადოება ბლომად დაესწრო, თვით მთავარ-მართებელი თავადი გოლიცინი მობრძანდა და წარმოდგენის გათავებამდის დარჩა. თამაშობდნენ პირველად განსვენებულ ავქ. ცაგარლის პიესას, რომელიც ამ ორის წლის წინად ქართულს ჟურნალში იბეჭდებოდა. ფარდა აიხადა და სცენაზედ ორის მხრივ ჩამომწკრივებული გამოჩნდნენ განსვენებულის მეგობარნი, ჩვენი მსახიობნი. შუა სცენაზედ იდგა ქანდაკებასავით გაკეთებული სევდიანი ბიუსტი ასიკოსი. სამარის სიჩუმე დამყარდა თეატრში. რამდენისამე წუთის შემდეგ წამოდგა წინ განსვენებულის მეგობარი ვ. აბაშიძე და გრძნობით წაიკითხა მოკლე სიტყვა განსვენებულის შესახებ, გააცნო საზოგადოებას განსვენებულის მოღვაწეობა ქართულ სცენაზე და მისი მნიშვნელობა როგორც დრამატურგისა. „ასიკო იყო მეფე კომიზმისაო“, დაათავა თვით კომიკების მეფეთა მეფემ და საზოგადოებამაც ტაშის ცემით დააჯილდოვა საყვარელი არტისტი. ამის შემდეგ განსვენებულის ბიუსტს გრძნობიერის ლექსით მიჰმართა არტისტმა კ. მესხმა.

თვით პიესის შესახებ ბევრი არა ითქმისრა. ახალი პიესა განსვენებულისა „ცისარტყელა“ სუსტია ყველა მის პიესებზედ. აქა-იქ პიესას ეტყობა ჩვეულებრივი დაკვირვებითი ნიჭი განსვენებულისა, მაგრამ საზოგადოდ-კი პიესა უტყუარი საბუთია ავტორის ნიჭის დასუსტებისა.

მთელი შინაარსი პიესისა დამყარებულია იმაზედ, თუ როგორ იტანჯება ერთი ახალგაზდა, განათლებული მდიდარი კაცი იმით, რომ ბოლოს დროს გაიგებს, კანონიერი შვილი არ ყოფილა იმათი, რომელთაც პატარაობიდან დედას და მამას ეძახოდა. ეს აზრი სტანჯავს, ჰკლავს საცოდავს და სამის მოქმედების განმავლობაში უწყალოდ ქვითინებს სცენაზედ ვეებერთელა ვაჟკაცი, უმაღლეს განათლება მიღებული! უყურებ გაოცებული ამ უაზროდ ტირილს განათლებულის კაცისას ასეთ უბრალო საქმისთვის და ღიმილი ვერ შეგიმაგრებია და თან გეცოდება მოთამაშე არტისტი, მსმენელი და თვით ავტორი, რომელმაც ამისთანა გაცვეთილი აზრის დასამტკიცებლად, რომ უკანონოთ და კანონიერათ შობილი ორივე კაცია, ამდენი დრო დაჰკარგეს.

ან რა განათლებული ეწოდება იმ კაცს, რომელმაც უმაღლესი სწავლა მიიღო, ეს მარტივი საკითხი-კი ვერ შეუთვისებია და საცოდა-

---

*) რეიმსის მთავარ-ეპისკოპოსს მიუწერია სტამბოლში მამა ფარჯუსთვის, იქნება ამ კითხვების პასუხი შემიტყო საქართველოშიო. მამა ფარჯუს მიუმართავს წერილით ბ-ნ მ. ჯანაშვილისათვის, რომელიც პასუხს მალე გაუგზავნის დანიშნულებისამებრ. ვბეჭდავთ ამ წერილს, რადგან ეს წერილი ცხადად ჰმოწმობს, რომ დასავლეთში მცირე ყურადღებას არ აქცევენ ჩვენს ქვეყანას.

*) იხ. „ივერია“ № 201.

*) ეგ საბუთები რედაქციაში იყო წარმოდგენილი. რედ.

**) ჯგუფებიდან-კი სახარჯოთ ერთმა მომცა 20 მ. და მეორემ 40 მ., მესამეს-კი კაპეიკიც არ მოუცია. ან რა უნდა მოეცათ, როცა კრიზისი დაეწყოთ და გაპირვებაში ჩავარდნენ! ამ რიგად ვესესხულობდი ფულს ჩემს სახელზედ და ვხარჯავდი ჩემის რისკით. მე მათთვის არაფერი გადამიხდევინებია, სუყველა ვალები მე გადეიხადე ჩემის ჯიბიდან. ავტ.

*) ეგ საბუთებიც წარმოდგენილი იყო რედაქციაში. რედ.

ვათ „ელრანჯება“ საცოლეს და თან უცხადებს, როგორც თვის დიდ ნაკლს, უკანონოდ შობილი ვარო. გარდა ამ ნაკლისა, ვიმეორებ, პიესაში სოლცარის დაკვირვებით არის ამოღებული ჩვენის ცხოვრებიდან ნაცნობი სურათები ჩვენის დაქვეითებისა, ნიშნები ჩვენის გადაგვარებისა.

სოლცარის ნიჭით არის დასურათებული ჩვენის სოფლის თავად-აზნაურთა ახალგაზდა—დათიკო მწყერაძე.

ეს ახალგაზრდა ჩვენი კარგი ნაცნობია. თითქმის ყოველ თავადიშვილის ოჯახში ჰნახავთ ამ უკუღმართ დროის ნაშობთ. დათიკო კატის კნუტივით ათრიეს მშობლებმა გიმნაზიებსა და კორპუსებში, მაგრამ როგორც თვითონ გულ-ახდით ეუბნება ელიკოს, დიდის ვაი-ვაგლახით ძლივს მიაღწია მესამე კლასამდის და მესამედან-კი პირველში გადმოაბძანეს. „ის მაინც ეფიქრათ იმ ოხრებს, რომ თავადიშვილი არისო“. დათიკო იმ დღიდგან სოფელშია, მუდამ მხიარული, მოქეიფე და მოარშიყე, ღვინისა და ეშხისათვის არის გაჩენილი, ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნადა.

უყურებ პიესას და უფრო სევდით გევსება გული მისის დამწერის უდროოდ დაკარგვით.

რაც შეეხება არტისტების თამაშს, გარდა ლანდისა და ქალ. მესხიშვილისა, ძნელია კაცმა სთქვას, რომელი უკეთ თამაშობდა. თითქო ყველას პირი მიეცა ერთმანეთისათვის, რომ მწყობრის თამაშით უკანასკნელი პატივი ეცათ ხორციელად სამარეში მდებარე, მაგრამ სულიერად-კი თავიანთ შორის მყოფ მოძმისათვის. მაყურებელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიქციეს თავიანთ სიცოცხლით სავსე თამაშით ქალ. ჩერქეზიშვილისამ და ბ-ნმა აწყურელმა.

№

29 სეკდემბერს ბ-ნ წერეთლის საოპერო დასმა წარმოადგინა „კრუჟოკში“ „ევგენი ონეგინი“. დიდ-ძალი ხალხი დაესწრო; ბილეთები რომ აღარ იყო, ბევრნი ფეხზე იდგნენ. კრუჟოკის წევრთ ძალიან მოეწონათ მთელი დასი, მეტადრე ბონაჩიჩი, დობრჟანსკაია, პოლუიანოვი და გაშინსკაია. კრუჟოკის გამგეობა აპირებს ეს დასი ყოველ კვირაში ერთხელ ან ორჯერ მოიწვიოს. ძალიან კარგი აზრია და გამგეობა დიდს მადლობასაც დაიმსახურებს კლუბის წევრთაგან, რადგანაც შეძლება ექნებათ იაფ-ფასად იარონ ოპერაში.

„ივერიის“ ფოსტა:

ბაქოს. თ. ა. ა—ძეს. თქვენი ლექსი „კაცის ცოდვა და მისი ბოლო“ არ დაიბეჭდება. ითხოვთ ხელ-მძღვანელობას; სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვიკისრებთ. შეუძლებელიც არის ჩვენთვის მიწერ-მოწერის გამართვა და ახსნა-განმარტება იმისი, თუ როგორ უნდა სწეროს და იმუშავოს კაცმა სალიტერატურო ასპარეზზედ. იკითხეთ საუკეთესო თხზულებანი, განივითარეთ გონება, გემოვნება და თქვენ თვითონ მიხვდებით, რა არის კარგი და ავი, რაა უკვდავი და მსწრაფლ-წარმავალი, ფუჭი, ჭიანი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 სეკდემბერი

კალუგა. პერემიშლის საერობო კრებამ დაადგინა მოუმატოს ჯამაგირები საერობო სკოლის იმ მასწავლებელთ, რომელთაც 10 წელიწადი იმსახურეს—თვეში ხუთ-ხუთი მანეთი, რომელთაც 15 წელიწადი—ათ-ათი მანეთი.

ჩერეპოვეცი. იმ კომიტეტში, რომელიც სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საჭიროებას იკვლევს, ქალაქის მოურავმა მილიუტინმა სთქვა, რომ ის ღონისძიებანი. რომელსაც ხმარობენ გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მაშინ იქმნება საკეთილო, როდესაც მცხოვრებნი მტკიცე ნიადაგზე იდგებიან, ე. ი. როდესაც აღდგენილ იქმნება წვრილი საადმინისტრაციო რაიონი—მრევლი. ესაა ისტორიულად შემუშავებული ნიადაგი ცხოვრებაში მთავრობის განზრახვათა განსახორციელებლად. კომიტეტმა განსაკუთრებული კომისია აარჩია.

პოლტავა. გადიაჩის საერობო კრებამ დაადგინა დააარსოს გადიაჩში სავაჭრო-სამრეწველო სკოლა და ვაჟთა პროგიმნაზია.

ჩერნიგოვი. გოროდნიანის ქალაქის საბჭომ და საერობო კრებამ ათ-ათი ათასი მანეთი გადასდეს ქალაქში სავაჭრო სკოლის დასაარსებლად. სამაზრო ერობა სთხოვს საგუბერნიო ერობის კრებას, ამდენი იმანაც გადასდოს.

ჩერეპოვეცი. დაიწყო საერობო კრება. გამგეობამ აღძრა მრავალი სიყურადღებო საქმე, გამოწვეული მოუსავლობით.

ჰელსინგფორსი. რუსულის ენის ინსპექტორებს გამოეცხადათ ინსტრუქცია, როგორც სახელმძღვანელო სამის წლის განმავლობაში. უფროსი ინსპექტორი მონაწილეობას იღებს სასწავლებელთა მთავარ გამგეობის კრებაზე ყველა საქმის განხილვისა და გადაწყვეტის დროს და საელემენტარო სასწავლებელთა განყოფილებათა კრებაზე. მონაწილეობას იღებს აგრეთვე სასწავლებელთა თვალყურის დევნებისა და რუსულის ენის მასწავლებელ ქალთა და კაცთა გამოცდის საქმეში. უმცროსი ინსპექტორები კონტროლისთვის იგზავნებიან ფინლიანდიის ყველა კუთხეში.

ლონდონი. პარლამენტის დეპუტატს ირლანდიელს ფარრელს მიესაჯა ორის თვით დაპატიმრება საგანგებო კანონების დარღვევისათვის.

დიურკინხენი. გემის პატრონთ ინგლისელთა მრავალი გემი დაიქირავეს ქვა-ნახშირისათვის. ინგლისის ქვანახშირის ფასმა აიწია. მუშები სცლიან ქვანახშირით დატვირთულ რამდენსამე გემს, თუმცა შეთქმული მუშები ხელს უშლიან ქვანახშირის შემოტანას.

ბელგრადი. გაზეთების სიტყვით, არნაუტები სერბიაში კაპანიკის მთების მხრიდანაც შევიდნენ, მაგრამ განდევნილ იქმნენ. სამი კაცი მოუკლეს.

კონსტანტინეპოლი. დღეს გამოცხადდა ირადე სადამაღო სესხის კონვერსიის შესახებ.

კარაკასი. ვენეცუელას საზოგადოების პლანტაციების გამგე რუსსელი კარაკალას პლანტაციის გზაზედ მკვდარი და გაცარცული ჰნახეს. ამ საქმის გამოსაძიებლად მთავრობამ ბრალმდებელი დანიშნა. ფიქრობენ, რომ მკვლელობა რევოლიუციონერებმა ჩაიდინეს.

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტროს გამგე ზენგერი 28 სეკდემბერს პეტერბურგს დაბრუნდა.

მომავალ კვირას ლივადიაში მიდის გარეშე საქმეთა მინისტრი ლამსდორფი.

29 სეკდემბერი.

კონსტანტინეპოლი. სერბიის ელჩმა აცნობა ოსმალეთის მთავრობას, რომ ალბანელები სტარო-სერბიის ქრისტიანებს თანდათან უფრო აწუხებენ. პორტამ ბოლგარიას შეუთვალა, რომ ავაზაკთა ბრბონი თავისუფლად გამოდიან ბოლგარიიდან და მერე თავისუფლადვე უკან ბრუნდებიან ბოლგარიაშიაო. გუშინ სერესს წავიდა კომისია, რომელმაც უნდა ადგილობრივ გაარჩიოს ეს საქმე და საზოგადოდ ავაზაკთა ბრბოების მოქმედება. სამხედრო საბჭომ დაადგინა, ბოლგარიის საზღვრები დაიცვან. ამავე საქმისათვის ჯარები გადაჰყ-გადმოჰყავთ. პორტა საკმარისად სცნობს ხუთ დივიზიას, რომ თუნდაც დიდძალი ავაზაკთა ბრბოები გაჰფანტონ.

ბერნი. მთავრობამ მოსთხოვა და წარმომადგენელთა კრებამაც ნება დართო, თუ საჭიროება მოითხოვს, გამოიწვიონ ორი-ათასამდე ჯარის-კაცი ჟენევაში წესიერების დასაცველად.

სოფია. რადგან ბოლგარიის საზღვრებზე აღელვება და ავაზაკთა ბრბოებს განზრახვა აქვთ საზღვარზე გადავიდნენ, ერთი რეზერვი სამსახურში მოიწვიეს, რომ კიუსტენდილის ოლქში საზღვრების დარაჯები გააძლიერონ. რეზერვისტების რიცხვი ორი ათასამდეა. ამბობენ, დუბნიცაში სამხედრო წესებია შემოღებულიო.

ქრისტიანია. გაზ. „მორგენბლადეტ“-ს გორტენიდგან ატყობინებენ, რომ ადმირალ ბერეზენს გამოუცდია ახალი ტორპედო, რომელიც თავისუფლად შეიძლება ამოქმედოს კაცმა თავისის ნებით. გამოცდამ კარგად ჩაიარა, დაესწრნენ გერმანიისა და ბრიტანიის მეზღვაურთა აგენტები.

პეტერბურგი. „ნოვ. ვრემ.“ იუწყება, რომ ლონდონიდგან კომისია მოვა პეტერბურგს. კომისია ბრიტანიის სახალხო განათლების სამინისტროს დავალებით საფრანგეთსა, გერმანიასა და რუსეთს დაივლის, რომ ადგილობრივ გამოიკვლიოს და შეისწავლოს სამხატვრო-სამრეწველო სატეხნიკო განათლების საქმე, რადგან ბრიტანიაში სწავლა-განათლების საქმის შეცვლა უნდათ.

30 სეკდემბერი

სტამბოლი. ხონთქარმა მიიღო რუსის ელჩი, რომელმაც მადლობა შესწირა დიდის მთავრის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის პატივისცემისათვის.

ვლადივოსტოკი. ფინანსთა მინისტრი ვლადივოსტოკიდგან პორტ-არტურს გაემგზავრა.

ხარკოვი. შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადებით კერძო პირებზედ დარჩენილ გადასახიდთა დრთით ანაზღაურების შესახებ, მამაზრო საერობო კრებამ დააწესა, რომ 5 წლით განაწილებულ იქმნას გუბერნიებსა და მაზრებზედ დარჩენილი გადასახადები. ამასთანავე უარ ჰყო ის ზომა, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის ნება არ უნდა მისცემოდა მათ, რომლებსაც სრულიად არ ექნებოდათ შემოტანილი თავისი ხვედრი გადასახადი და დაადგინა, რომ წინანდებურად შეიტანონ ხოლმე ხარჯთ-აღრიცხვაში დარჩენილი თანხაც.

ვლადიმირი. სამაზრო კრებამ დაადგინა საერობო მასწავლებელთა ჯამაგირი 300 მანეთამდე გახადონ, მათ თანაშემწეთა-კი 240-მდე.

— სოფ. ვაგონ.ვის დიაკონმა ერობას შესწირა საერობო სკოლისათვის ქვითკირის შენობა.

ნოვგოროდი. მთავარ-ეპისკოპოსმა გურიიმ დიდის გამოჩენებით შეასრულა განახლება იურის მონასტრის გიორგი ძლევამოსილის საკრებულო ტაძარი. კედლის მხატვრობა, რომლის ხელობასაც სუზდალელ მხატვარ ნიკოლოზ საფონოვს აწერენ მე-XII საუკუნეში განახლებულია აკადემიკოსის ბოტკინის ზედამხედველობით. მხატვრობა განახლებულია წინამძღვრის არხიმანდრიტ ვლადიმირის საფასით, მთავარ-ეპისკოპოსმა სიტყვა წარმოსთქვა მონასტერთა მნიშვნელობის შესახებ და სთქვა, რომ მონასტერნი ქრისტიანობის მანათობელნი არიანო.

ბელგრადი. მთავარ მიხეილის მოედანზე, ჯუნიჩის თავმჯდომარეობით მოხდა მაკედონელთა ყრილობა, რომელსაც 500 კაცამდე დაესწრო. სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გადასწყვიტეს, განაცხადონ გულის-წყრომა იმ ძალდაძალ მოქმედებისათვის, რომლის მსხვერპლად მაკედონიისა და ძველ-სერბიის მკვიდრნი სერბნი გამხდარან, ადგილობრივ ოსმალეთის მთავრობის უსინიდისობისა და დაუდევრობის წყალობით. ეს განაჩენი მოუწოდებს აგრეთვე სერბიის მთავრობასა, რათა ყოველივე ღონე იღონოს იქაურ სერბთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

არიოლი. სამაზრო საერობო კრებამ მოისმინა 1902 წლის სახალხო განათლების ანგარიში და მიიღორა სახეში მაზრის მკვიდრთა თანდათანი ზრდა, აუცილებლად სცნო სასკოლო ბიბლიოთეკების გახსნა და ამიტომ დაადგინა, კიდევ მიეატოს იმ თანხას, რომელიც გადადებული იყო ბიბლიოთეკების გასამართავად და სკოლის გარეშე განათლებას გასაუმჯობესებლად.

ვილნო. მთავარ-ეპისკოპოსმა იუვენალიიმ აკურთხა ახალი შენობა იმპერატრიცა მარიამის უწყებისა დედათა გიმნაზიისა. კურთხევას დაესწრო მთავარმმართველის ამხანაგი სენატორი კაუფმანი.

ლოძი. რამდენიმე ასი კაცი—საკომერციო აგენტი—აქედან სხვა-და-სხვა გუბერნიაში აქაურ ნაწარმოებ საზაფხულო მატერიების გასასყიდად.

სოფია. გენერალი ცონჩევი, პირველ გაქცევის შემდეგ დრენოვიდან, შეიპყრეს და დაპატიმრეს; 25 სეკდემბერს კვლავ გაიქცა; ჰგონებენ, რომ მაკედონიაში წავიდაო.—გაზეთი „რეფორმი“ ამტკიცებს, რომ მეამბოხეთ ალყა შემოარტყეს ჯუმაის, წაიგდეს ხელთ სამი ზარბაზანი ოსმალეთისა და მოაოხრეს რამდენიმე ოსმალთ სოფელი. ამ ამბის დასამტკიცებელი საბუთი არ არის.

ბელგრადი. მინისტრები გაემგზავრნენ ნიშს, სადაც მეფის თავმჯდომარეობით საყურადღებო საქმეები იქმნება განხილული.

ბელგრადი. მაკედონიის ყრილობის გარდაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ თუ ვინიცობაა სერბიის მთავრობამ ვერ უზრუნველ ჰყო სიცოცხლე და ქონება სერბიელებისა, რომელნიც მაკედონიაში და ძველს სერბიაში სცხოვრობენ, მაშინ სერბია და სერბიის ერი პასუხის მგებელი აღარ იქმნება ამ ამბებისათვის, რომელიც შეიძლება ბოლოს მოხდეს და რომელთაგანაც სერბია იძულებული იქნება ხელი გამოიღოს სერბიის ერს არ შეუძლიან მოითმინოს, რომ მისი თანამემამულენი ამოსწყვიტონ ძველს სერბიასა და მაკედონიაში.

პეტერბურგის ბირჟა, 27 სეკდემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,90
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	—
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	466½ წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	355¼ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	290¼ გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. სადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¼ მყიდ. (?)
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	85 წვ. გაყ.
6% ქუთ. სადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	89½ გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9,100 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	450 წვ. გაყ.
,,კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	351 წვ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	175 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
ს მგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ

განცხადება

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი
„ოდონტინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საათფიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—ნ.—26)

გუმმი-პეპსინი
(Gummi- Pepsin)
პროვიზორის ი. ი.პოგოსსკისა.

საღეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი საჭმლის მოსანელებელი და დიდი, მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს. 5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—ნ.—8)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

ქირავდება

იაფად 4 ოთახი ყოველგვარ მოწყობილობით თითქმის შუაგულ ქალაქში, ეგზარხოსის მოედანზედ, სახლი თავ. შერვაშიძისა, № 14.

კავკასიის

საოლქო საინტენდანტო მმართველობა მოიწვევს ერობათა, მიწათ-მფლობელთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათ, რომელნიც-კი მოისურვებენ მიჰყიდონ საინტენდანტო მმართველობას პური (ხორბალი), გამოუგზავნონ ზემოხსენებულს მმართველობას ქალაქ ტფილისში ქაღალდი იმ რიგით, რომელიც დადგენილია სამხედრო უწყების მიერ სურსათ-ნუზლის სყიდვის წესთა მე-18 მუხლით. ქაღალდს უნდა ეკრას ორი ღერბის მარკა სამ-სამ აბაზიანი და შიგ უნდა იყოს მოხსენებული: წოდება, სახელი, მამის სახელი და გვარი მემამულისა, სახელწოდება მამულისა და მაზრისა, აღნიშვნა ადრესისა, რომლითაც უნდა გაეგზავნოს მემამულეს პასუხი მის ქაღალდზედ, რაოდენობა მისასყიდის პურისა და მისი ღირსება, ფასი ერთის ფუთისა, აღნიშვნა რკინის გზის სადგურისა, ან მაღაზიისა, საცა იქნება ჩაბარებული პური, სად უნდა გაიგზავნოს ტომრები და რა და რა ვადაზე, რომელ კასიდან და რა წესით უნდა მიეცეს ფული. აგრეთვე აღნიშვნა თანხმობისა, რომ ტვირთულობენ პურის ჩაბარებას იმ პირობით, რომელიც განმარტებულია ერობათა, მემამულეთა და სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათაგან სამხედრო უწყების მიერ ნუზლ-სანოვაგის სყიდვის წესში. ამას გარდა, რადგან სყიდვა პურისა მემამულეთაგან ამა თუ იმ ვადაზედ, ბეის წარმოუდგენლად შეიძლება, ამიტომ იმის ბუღდავანობისათვის, რომ მემამულენი პირნათლად შეასრულებენ ნაკისრ მოვალეობას, მემამულე თავად-აზნაურნი, გამსყიდველნი პურისა ამა თუ იმ ვადაზედ მოვალენი არიან წარმოადგინონ ადგილობრივ მარშლის და არა ნაკლებ ორის ადგილობრივ მემამულე თავად-აზნაურის ხელმოწერილი მოწმობა, ანუ მოწმობა საერობო გამგეობისა იმის შესახებ, თუ რაოდენი აქვს მამული სახნავი, სათიბი და საძოვარი, წელიწადში რამდენსა ჰხნავს და სთესავს, ორთა შუა რიცხვით რა მოსავალი ჰქონდა 5 წლის განმავლობაში, რაოდენი პური უნდება საკუთრად თავისთვის, რამდენი რჩება გასასყიდად, ხოლო დანარჩენნი მემამულენი, რომლითგანაც ბეის მაგიერ შეიძლება მიღებულ იქმნას მეხუთედი გასყიდულის პურისა იმ პირობით, რომ ამ მეხუთედის ფასი მიიღოს მაშინ, როცა უკანასკნელ გასასყიდის პურის ნაწილს ჩააბარებს, მოვალენი არიან აღნიშნონ თავიანთ ქაღალდში ვადა და ადგილი, რა ვადაზედაც და ადგილასაც ჩააბარებენ საინტენდანტო მმართველობას მეხუთედ ნაწილს გასყიდულის პურისას.

ამასთანავე ყველა გამყიდველმა უნდა წარმოადგინოს საინტენდანტო მმართველობაში ნიმუში პურისა ორის კარგად გამომშრალ და კარგად თავ დაცობილ ბოთლითა, რომელიც უნდა იტევდეს არა ნაკლებ 1/20 ვედრისას.

მმართველობა დასძენს ამას: 1) ქაღალდი პურის გასყიდვის თაობაზედ შეიძლება მიღებულ იქმნას მხოლოდ იმ მემამულეთაგან, რომელნიც ჰფლობენ თავიანთ მამულს სრულის საკუთრების უფლებით და არა ვითარცა მოიჯარადრენი; 2) რომ პური შეიძლება იყიდოს მმართველობამ იმდენი, რამდენიც მემამულის საკუთარს მამულზედ მოდის პარტიობით დაწყებული 750 ფუთიდგან და 3) რომ ყიდვა პურისა არა საკუთარს, არამედ იჯარით აღებულ მამულზედ მოყვანილისა, ანუ ნაყიდისა იმის-მიერ, ვისაც ქაღალდი შემოაქვს, თუნდაც მემამულისაგან ჰქონდეს ნასყიდი, განუსჯელად აკრძალულია..

(3—3)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10

Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 Сентября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი **ა. ი. სარაჯიშვილი.**